# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
# ხელშეკრულება № 01-21/45

16 ნოემბერი 2016 წ.

დაბა ქედა

ა.(ა).ი.პ. "ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის აიშე თებიძის სახით, ერთის მხრივ და შ.პ.ს. „მინია" (შემდგომში „მიმწოდებელი") დირექტორის ვლადიმერ მოსიძე სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დროებითი წესის შესახებ დებულების" საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1.ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. სამფაზიანი ელ მრიცხველის და ავტომატური გამომრთველების შეძენა
1.2 კლასიფიკატორის კოდი -38500000, 31200000

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესაძენი საქონლის ღირებულება შეადგენს სამფაზიანი ელ მრიცხველი NIK 120 A - 1 ცალი 180 ლარი, ავტომატური გამომრთველი LEGRAND 3X100 – 1 ცალი 160 ლარი, ავტომატური გამომრთველი SOCORTA 10 KA 100 A – 2 ცალი 180 ლარი და ავტომატური გამომრთველი LEGRAND 3X125 - 1 ცალი - 170 ლარი სულ მთლიანი ღირებულება შეადგენს 690 (ექვსასოთხმოცდაათი) ლარს, (შემდგომში ხელშეკრულების ფასი) .

## 3. ანგარიშსწორების ფორმა და წესი.

3.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე გადარიცხვით, ანგარიშსწორების ვალუტა--ლარი..

3.2. საბოლოო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ ფაქტურის წარმოდგენის შემდგომ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.3 ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს:

- წერილობითი მოთხოვნა.
- ანგარიშფაქტურა (სპეც ანგარიშფაქტურა. სასაქონლო ზედდებული)

3.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3.5. თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაობების მოცულობების ღირებულებამ არ შეადგინა გამარჯვებულ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ სამუშაოთა მოცულობების ანაზღაურებაზე.

## 4. სამუშაოების შესრულების ვადა და პირობები

4.1 საქონლის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 30 ნოემბრამდე

4.3. მიწოდების ადგილია ბათუმი. გორგილაძის ქ №39/4

## 5. გარანტია

5.1 მიმწოდებლის მიერ მიწოდებულ საქონელზე გარანტია უნდა ვრცელდებოდეს არანაკლებ 1 წლის განმავლობაში.
5.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

## 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
6.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ნაწილს წუნდების მიზეზების მითითებით;
6.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი, კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი;

## 7. უფლებების გადაცემა

7.1. მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

## 8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
8.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენს: ა.(ა).ი.პ. "ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების" მნე არჩილ გოგიტიძე.
8.3. შესყიდვის ობიექტის მიღება და შემოწმება ხდება გაწეული სამუშაოების შესრულების ადგილზე.
8.4. შესრულებული სამუშაოს მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

## 9. ფასები

9.1. ხელშეკრულებით [illegible] [illegible] შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დასაშვებია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 11. სუბკონტრაქტორები

11.1. მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულებიდან გამომდინარე გასაფორმებელი ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, რომელსაც თან უნდა დაერთოს დასადები ხელშეკრულების პროექტის ასლი.

11.2. ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## 12. შეტყობინება

12.1. ნებისმიერი შეტყობინება, მხარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად, გაეგზავნება მეორე მხარეს წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

12.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2. იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

## 14. დაუძლეველი ძალა

14.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია

დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

14.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

14.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. თუ სადაო საკითხებზე მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ შეთანხმებას, დავა გადაწყდება სასამართლო წესით.

## 16. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

16.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა და/ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო და სხვა სანქციები.

16.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5-%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

16.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 17. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

17.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს შესაბამისი სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

17..2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17..3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

[illegible],

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში

## 18. სხვა პირობები

18.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

18.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

18.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

18.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

18.5. ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.

19.6. ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 15 იანვრის ჩათვლით.

19.7. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება 2 ეგზემპლარი „შემსყიდველთან“ და ერთი ეგზემპლარი „მიმწოდებელთან“.

*მხარეთა რეკვიზიტები:*

| „შემსყიდველი“ | „მიმწოდებელი“: |
|---|---|
| ა.(ა).ი.პ. ქედის ბაგა–ბაღების გაერთიანება | შ.პ.ს. „მინია“ |
| მის: დ. ქედა 26 მაისის ქ. # 1 | მის. ქ. ბათუმი. გორგილაძის 39/4 |
| ს/კ446754209, | ს/კ 445391399 |
| სახელმწიფო ხაზინა | ა/ა GE42PC0033600100048317 |
| b/k TRESGE22 | ს.ს. ”პროკრედიტ ბანკი” |
| ა/ა GE24NB0330100200165022 | ბ/კ **MIBGGE22** |
| მიმღები ხაზინის ერთიანი ანგარიში | |
| სახაზინო კოდი 700074332 | ვლადიმერ მოსიძე |
| დირექტორი: ა. თებიძე | |